დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭო
2012 წლის 5 სექტემბერი №740
დადგენილებით

მოდიფიცირებულა
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2019 წლის 22 ივლისის
№ 01-05-04/206 დადგენილებით

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

ჟურნალისტიკა
Journalism

ფაკულტეტი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა
Engineering Economics and Social Science media technologies

პროგრამის ხელმძღვანელები

ასოცირებული პროფესორი თამარ ბონდარენკო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ჟურნალისტიკაში *(მიენიჭება პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სპეციალობის 225 კრედიტის და თავისუფალი კომპონენტების სახით 15 კრედიტის ათვისების შემდეგ, არანაკლებ 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში)*

სწავლების ენა

რუსული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატის პროგრამით სწავლების უფლება ენიჭება პირს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისადაა ჩარიცხული.

პროგრამის აღწერა

ჟურნალისტიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, ხანგრძლივობა - 8 სემესტრი (4 სასწავლო წელი). სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვის შესაბამისად, კრედიტების რაოდენობა ერთ წელიწადში შეიძლება 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი იყოს, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა. პროგრამა მისცემს სტუდენტებს პროფესიისთვის საჭირო ცოდნას და ძირითად უნარებს, რაც მომავალში წარმატებული კარიერის შექმნაში დაეხმარებათ. საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით. 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. პროგრამა მოიცავს ძირითადი სპეციალობის 172 კრედიტის, თავისუფალი კომპონენტების სახით 15 კრედიტის, უცხოური

ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) – 22 კრედიტის, პრაქტიკა - 10 კრედიტის და საბაკალავრო ნაშრომი - 6 კრედიტის სასწავლო კურსებს. თითოეული სემესტრის მოცულობა არის 30 ECTS კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი (8 სემესტრი).

თითოეულ სემესტრში თითოეული სასწავლო კურსის შეფასების მაქსიმალური ქულაა 100. შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60. შუალედური შეფასება შედგება 2 კომპონენტისაგან: მიმდინარე აქტივობა და შუასემესტრული გამოცდა. მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური შეფასებაა 30 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასებაა - 15 ქულა, შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა - 30 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასებაა - 7,5, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა, მინიმალური კი - 10. სემესტრის მანძილზე სტუდენტი აბარებს ერთ შუასემესტრულ და ერთ დასკვნით გამოცდას. საჭიროების შემთხვევაში XX კვირა ეთმობა დამატებით გამოცდას. დამატებით გამოცდაზე სტუდენტი გადის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან ფინალურ გამოცდაზე გასვლის შემდეგ ჯამში დააგროვა 41-დან 50 ქულის ჩათვლით.

პირველი სასწავლო წლის ხანგრძლივობაა 2 სემესტრი. სტუდენტი ორი სემეტრის განმავლობაში შეისწავლის 13 სასწავლო კურსს (60 კრედიტი), რომელთაგან 55 კრედიტი სავალდებულოა და 5 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსები.

მეორე სასწავლო წლის ხანგრძლივობაა 2 სემესტრი. სტუდენტი ორი სემეტრის განმავლობაში შეისწავლის 13 სასწავლო კურსს (60 კრედიტი), რომელთაგან 50 კრედიტი სავალდებულოა და 10 კრედიტი კი არჩევითი სასწავლო კურსები.

მესამე სასწავლო წლის ხანგრძლივობაა 2 სემესტრი. სტუდენტი ორი სემეტრის განმავლობაში შეისწავლის 11 სასწავლო კურსს (60 კრედიტი), რომელთაგან 60 კრედიტი სავალდებულო საგნებია.

მეოთხე სასწავლო წლის ხანგრძლივობაა 2 სემესტრი. სტუდენტი ორი სემეტრის განმავლობაში შეისწავლის ძირითადი სპეციალობის 12 სასწავლო კურსს (60 კრედიტი): სავალდებულო საგნებს (29 კრედიტი), გაივლის საწარმოო პრაქტიკას (10 კრედიტი), იმუშავებს საბაკალავრო ნაშრომზე (6 კრედიტი) და თავისუფალი კომპონენტია 15 კრედიტი.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა **240 ECTS** კრედიტი

სავალდებულო სასწავლო კურსები 172

უცხოური ენა 22

არჩევითი სასწავლო კურსები 15

თავისუფალი კომპონენტები 15

პრაქტიკა 10

საბაკალავრო ნაშრომი 6

პროგრამის მიზანი

- მედიაკულტურის მქონე პრაქტიკოსი სპეციალისტის მომზადება;
- მედიაკულტურის ელემენტებისა და ღირებულებების სწავლება სოციალურ სივრცეში, საზოგადოების ნორმატიული ორიენტირების მხარდაჭერისა და ტრანსლირების, მმართველობითი გადაწყვეტილებების კონტროლისა და სოციალურ ურთიერთობათა

დარეგულირების პროცესებში მონაწილეობისათვის;

- თანამედროვე პროფესიული სტანდარტებით ინფორმაციის წარმოების, გავრცელების, მედია მონიტორინგის საერთაშორისო მეთოდებისა და ტექნოლოგიების სწავლება.

სწავლის შედეგები/კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი)

ცოდნა და გაცნობიერება:

- გააცნობიერებს ფილოსოფიურ კატეგორიებსა და ცნებებს;
- შეექმნება პირველადი წარმოდგენა და გააცნობიერებს პროფესიული მონოლოგური მეტყველების ძირითად კანონზომიერებებს წერითი და ზეპირმეტყველების მრავალსახეობაში.
- სტუდენტი გააცნობიერებს ინფორმატიკასა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებში მიღებული ცოდნის, როგორც საერთო მეთოდოლოგიური და ინსტრუმენტული საშუალებების, როლსა და ადგილს შემდგომ საქმიანობაში. შეისწავლის ინფორმაციისა და ინფორმაციული პროცესების ცნებებს, ინფორმაციის კომპიუტერული დამუშავების პრინციპებს, თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებს.
- უნდა იცოდეს თანამედროვე რეალობაში კომუნიკაციის ძირითადი თავისებურებები, თეორიები და ხერხები;
- იცოდეს და გააცნობიეროს კურსის ძირითადი კატეგორიები, თანამედროვე გამოცემებისა და პროგრამების ტიპოლოგიური მრავალფეროვნება, ჟურნალისტიკის სხვა სოციალური ინსტიტუტებთან ურთიერთქმედების საფუძვლები;
- იცოდეს შემოქმედებითი პროცესის ჟანრული ტექნოლოგიები, ფლობდეს ტექსტის შედგენის უნარს, ჰქონდეს მასალების ანალიზისა და შეფასების უნარი;
- შეიძინოს აბსტრაქტული აზროვნებისა და სინთეზის უნარი;
- იცოდეს და გააცნობიეროს დასავლეთის ჟურნალისტიკის განვითარების გზების თავისებურებები, ტიპოლოგიური მსგავსება და განსხვავება ევროპულ და ამერიკულ ჟურნალისტურ პრაქტიკებს შორის;
- სამეცნიერო ანალიზის მეთოდების ცოდნა, კულტურის კონცეფციის ძირითადი გაცნობიერება;
- გაზეთის, რადიოსა და ტელემაუწყებლობის ტექნოლოგიური ბაზის თავისებურებების ცოდნა
  და გაცნობიერება კომპიუტერულ-ინფორმაციული ტექნოლოგიების საუკუნეში;
- რეკლამის სათავეების, მისი ფუნქციების, სახეებისა და მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში
  წარმოდგენის თავისებურებების ცოდნა და გათავისება;
- ლიტერატურული ნორმების, თანამედროვე ჟურნალისტიკის სტილისტური თავისებურებების,
  ხელნაწერის სტილისტური და ესთეტიკური მხარეების რედაქტორული შეფასების კრიტერიუმე-ბის ცოდნა;
- თანამედროვე ფოტო და ვიდეო ტექნოლოგიების ცოდნა და აუდიოვიზუალურ სფეროში მათი კომპლექსური გამოყენების აუცილებლობის გაცნობიერება;
- იცოდეს ჟურნალისტის უფლებები და მოვალეობები, საქართველოს კონსტიტუცია, სამართლე-
  ბრივი ნორმები;
- იცოდეს სატელეიზიო ჟურნალისტის საქმიანობის სპეციფიკა;
- თანამედროვე ჟურნალისტის პროფესიული უნარ-ჩვევები, შესაძლებლობები; ესმოდეს ჟურნა-ლისტური შემოქმედების კოლექტიური ბუნება; ჟურნალისტური ნაწარმოების სტრუქტურის ელემენტები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- პრაქტიკაში გამოიყენებს მიღებულ ცოდნას სხვადასხვა ჟანრისა და თემატიკის ჟურნალისტური ტექსტების შექმნის დროს.
- შეძლებს კომპიუტერული სისტემის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის ძირითადი მახასიათებლების შერჩევასა და შეფასებას, კომპიუტერის ფუნქციონირებისა და

ექსპლუატაციის უზრუნველყოფას, კომპიუტერთან თავისუფალ „დიალოგს“, ტექსტური, ცხრილური და საპრეზენტაციო დოკუმენტაციის მომზადებას, საერთაშორისო კომპიუტერულ ქსელ Internet-ში მუშაობას.

- შეძლებს მიღებული ცოდნის გამოყენებას შემდგომ სასწავლო და პრაქტიკულ საქმიანობაში;
- შეძლებს პროფესიულ საქმიანობაში საქართველოს საშინაო და საგარეო პრიორიტეტების განსაზღვრისას ქვეყნის მრავალათასწლოვანი ისტორიული გამოცდილების გათვალისწინება-გამოყენებას.
- მიღებული ცოდნის გამოყენების უნარი პოლიტიკური პროცესების გასაანალიზებლად
- უნდა შეეძლოს ანალიტიკური ჟანრების შესწავლისას მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, თემის შემუშავების საკითხებში ორიენტირება.
- უნდა ესმოდეს ჟურნალისტური პროფესიის, როგორც სოციალური, ინფორმაციული, შემოქმედებითი, მისი საბაზო მახასიათებლების, ჟურნალისტის სოციალური როლების, პიროვნული მახასიათებლების არსი, რომლებიც აუცილებელია პროფესიონალური ფუნქციების პასუხისმგებლობით შესრულებისას; ასევე ჟურნალისტური საქმიანობის მრავალასპექტურობა, რომელიც მოიცავს საკუთარი პუბლიკაციების მომზადებას და მასმედიის ტექსტების შექმნისას სხვა მონაწილეებთან მუშაობას (ავტორები, აუდიტორია და ა.შ.); ინდივიდუალურ და კოლექტიურ საქმიანობას; ტექსტზე და ტექსტის მიღმა მუშაობას (საპროექტო, საპროდუსერო, ორგანიზატორული). უნდა შეეძლოს ინფორმაციის წყაროსთან მუშაობა და ფლობდეს ინფორმაციის მოპოვების მეთოდებს (ინტერვიუ, დაკვირვება, დოკუმენტებთან მუშაობა), სელექციის, შემოწმებისა და ანალიზის, აგრეთვე პრეცეზიული (ზუსტი) ჟურნალისტიკის მეთოდებს.

დასკვნის უნარი

- დასკვნების გაკეთების უნარის გამომუშავება და ლოგიკურ-აზროვნებითი სილოგიზმების გაფორმება ლოგიკური სინთეზის შემგომი მიღებით;
- შეიძენს სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის შერჩევისა და ანალიზის უნარს;
- ჟურნალისტიკის ტიპოლოგიური თავისებურებების, ჟურნალისტიკის შემდგომი განვითარების გზების თავისებურებების შესახებ დასკვნების გამოტანის უნარი;
- კულტურული ფენომენის, კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესების და საინფორმაციო საზოგადოების პრაქტიკის წარმოდგენის უნარი, თანამედროვე მედიის თეორიებზე მუშაობის უნარი.
- ცოდნა და უნარი გამოიყენოს სხვა და სხვა პროგრამული საშუალებები და მონაცემთა ბაზები,
  კომპიუტერულ ქსელში ინფორმაციასთან მუშაობის პროცესში;
- სარეკლამო ტექსტების, რეციპიენტთა ტიპების და მათი მოთხოვნილებების, სარეკლამო სლოგანების რეციპიენტის ცნობიერებაზე გავლენის მოხდენის შესახებ დასკვნების გამოტანის უნარი.
- ორატორულ ხელოვნებაში გამოსაყენებლად განკუთვნილი უცხოენოვანი ზეპირი და წერილობითი პუბლიცისტური, საქმიანი, სამეცნიერო ტექსტების წარმოების მეთოდის ფლობა.
- სატელევიზიო პუბლიცისტიკის ჟანრული თავისებურებებში ორიენტირების უნარი
- შეეძლოს ჟურნალისტური პროდუქტის შექმნის მეთოდის, ხატოვანი კომპონენტების, ფაქტების გადმოცემის, კომპოზიციური თავისებურებების შეფასება.
- დასკვნის გაკეთების უნარი თანამედროვე ჟურნალისტური პრაქტიკის თანახმად.

კომუნიკაციის უნარი:

- შეძლოს გამართულად ააგოს დიალოგური/მონოლოგური მოსაზრებები სიტუაციური კომპონენტების შესაბამისად.
- შეისწავლის საერთაშორისო კომპიუტერულ ქსელ Internet-თან მუშაობის ძირითად პრინციპებს და Ms Office საოფისე პროგრამათა პაკეტში შემავალ პროგრამებსლშეიძენს საქმიანი კომუნიკაციის თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენების უნარ-ჩვევებს;
- თანამედროვე საზოგადოებაში კომუნიკაციის ფუნქციების, თეორიების, წესებისა და ხერხების ცოდნას;
- უნდა მოახდინოს ინდივიდუალური და პროფესიული პრინციპების პრაქტიკულ საქმიანობაში

რეალიზება, შეეძლოს ოპტიმალურად ზუსტად და სრულად მიიტანოს აუდიტორიამდე ინფორმაცია რეალური სინამდვილის შესახებ.

- შეეძლოს საკუთარი კონცეფციის არგუმენტირება;
- ჩამოუყალიბდეს კოლექტივთან, სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებთან, სუბკულტურებთან ურთიერთობის უნარი, PR საქმიანობის მრავალკულტურულ ჯგუფებში განხორციელების უნარი;
- იყოს კომპეტენტური კომუნიკაციის უნარის საკითხებში;
- კითხვის, გაგების და მეტყველების ელემენტარული დონის უზრუნველყოფა, რომელიც გათვალისწინებულია უცხო ენების დონეებრივი შესწავლის საერთაშორისო სტანდარტებით.
- თანამედროვე ჟურნსლისტიკის ლექსიკის ფლობა;
- პატივს სცემს დამოუკიდებლად მუშაობის სურვილს, კარგად შეუძლია, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით, აუდიოვიზუალური ფორმით კომუნიკაცია. შეუძლია კომუნიკაცია ინფორმაციის ოფიციალურ და ღია წყაროებთან; კომპიუტერული ვიდეომონტაჟის ტექნოლოგიების გამოყენებით მედიაპროექტის მომზადება და ზეპირი და წერილობითი პრეზენტაცია, როგორც სპეციალისტების, ისე არასპეციალისტებისათვის. პატივს სცემს კონფიდენციალურობის დაცვის საჭიროებას, შეუძლია კარგი ურთიერთობის დამყარება ნებისმიერი შესაძლებლობების მქონე სტუდენტებთან, შემოქმედებითად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო მეთოდებს.

სწავლის უნარი:

- ვერბალური უნარის სრულყოფა, წიგნზე მუშაობის უნარი, დამოუკიდებელი მუშაობის უნარი.
- დამოუკიდებლად აწარმოოს ინფორმაციის მიღება ინგლისურ ენაზე და შემდგომი ლექსიკურ-გრამატიკული ანალიზის მეშვეობით შეიძინოს და განამტკიცოს შესაბამისი ახალი მასალა.
- მოხდეს სტუდენტების ცოდნის გააქტიურება და ხელი შეუწყოს მათ გამოიმუშაონ დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; დაეხმაროს სტუდენტებს დამოუკიდებლად შეისწავლოს კონკრეტული კურსი, სრულყონ იდეურ-ესთეტიური და პროფესიური კრიტერიუმები.
- დაეუფლოს მოყვანილი ფაქტების პირდაპირი ან ლატენტური შეფასებების შესაძლებლობას
- შეიძენს ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენების უნარს.
- შეეძლოს ჟურნალისტური ნაწარმოების ანალიზი; გამოიყენოს ტექსტის პროფესიული ანალიზის უნარი ჟურნალისტური ოსტატობის სრულყოფის მიზნით; ჟურნალისტური პუბლიკაციების მომზადების დროს ორიენტირებული იყოს ჟურნალისტიკის თეორეტიკოსების გამოცდილებაზე. ფლობდეს პროფესიული ჟურნალისტური საქმიანობის ძირითად მეთოდებსა და ხერხებს, ჰქონდეს თანამედროვე პერიოდიკის ტექსტების ანალიზის უნარი.
- დამოუკიდებლად შეეძინოს ახალი ცოდნა და უნარი, ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით
- მიიღოს მთლიანი წარმოდგენა რუსეთის და საერთაშორისო მოქმედ მარეგულირებელი კანონმდებლობის შინაარსზე და ხასიათზე სამართლებრივი ურთიერთობების სფეროში
- სამეცნიერო სტატიის წერის უნარი თანამედროვე ბეჭდური საშუალებების დახმარებით. მოხსენების მომზადების უნარი.
- აფასებს ტელე-რადიო ხელოვნების სფეროში კომპიუტერული ტექნოლოგიების ცოდნის გაღრმავების აუცილებლობას, სწავლის გაგრძელებასა და მუდმივ განახლებას. პროფესიული საქმიანობისათვის კომპიუტერული ტექნოლოგიების მნიშვნელობის გათვალისწინებით პროგნოზირებს საკუთარი სწავლის მიმართულებას.

ღირებულებები

- საკუთარი ისტორიისა და კულტურის გათავისება, ეროვნული თვითშეგნებისა და ღირებულებების შენარჩუნება. მსოფლიო ისტორიული მემკვიდრეობის ცოდნა, სხვათა ისტორიის, კულტურისა და განსხვავებული აზრის მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება.
- მიღებული ცოდნის მნიშვნელოვნების აღქმა იმგვარი გლობალური ღირებულებების ნეიტრალური გაცნობიერებისათვის, როგორებიცაა ადამიანის უფლებები, სამოქალაქო საზოგადოება, დემოკრატია და ა.შ.
- ახალი იდეების გაჩენის უნარი, უნარი გააცნობიეროს საგობრივი სფეროს ძირითადი პრობლემები, შეეძლოს ორიენტირება ამოცანების დასახვისა და მათი გადაჭრის გზებში; კვლევის თანამედროვე მეთოდების შესახებ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

- ჟურნალისტიკის ღირებულებების გაცნობიერება: სიტყვის თავისუფლების, ბეჭდვის თავისუფლების, პრესის თავისუფლების, ამ ღირებულებების დაცვის უნარი; სრულყოფის მიზნით ჟურნალისტური ღირებულებების საჯარო რეპროდუცირების უნარი
- თანამედროვე საზოგადოებაში PR-ტექნოლოგიების მნიშვნელობისა და რო;ის გაცნობიერება, სოციუმში
- კულტურათასორისი კომუნაციის პრობლემურ დარგში ტოლერანტულობის უნარი
- კულტუროლოგიური ცოდნის მნიშვნელობის გაგების უნარი თანამედრობე სამყაროში
- საკუთარი პროფესიული საქმიანობის სრულყოფის, შემდგომი პროფესიული ზრდისათვის ჟურნალისტიკის სოციოლოგიის მნიშვნელობის გაცნობიერება.
- სოციალური ურთიერთქმედებისათვის მზაობა საზოგადოებაში მიღებული მორალური და სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, ხალხის პატივისცემა, პროფესიულ საქმიანობაში მორალურ-სამართლებრივი ნორმებით ხელმძღვანელობის უნარი.
- შეძლებს გაიცნობიეროს დაფიქსირებული ფიზიკური რეალობის ფასეულობა
- თავისი სამუშაოს ეფექტურობის ანალიზის და შეფასების უნარი, მისი ძლიერი და სუსტი მხარების
- გააუმჯობესოს და განავითარონ თავიანთი ინტელექტუალური და კულტურული დონის უნარი, მათი სოციალური და პროფესიული გამოცდილების გაუმჯობესების უნარი
- საქართველოსა და, ზოგადად, პლანეტარულ ეკოლოგიურ ღირებულებებთან თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და სხვებისთვის გაზიარება;

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

☒ ლექცია ☒ სემინარი (ჯგუფში მუშაობა) ☒ პრაქტიკული ☒ ლაბორატორიული ☒ პრაქტიკა ☒ საბაკალავრო ნამუშევარი ☒ კონსულტაცია ☒ დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. პედაგოგს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ასევე ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს. გთავაზობთ სწავლებისა და სწავლის ყველაზე გავრცელებულ მეთოდებს და მათ განმარტებებს. მათგან საჭირო მეთოდს, კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, შეარჩევს პედაგოგი.

დისკუსია/დებატები – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

ჯგუფური (collaborative) მუშაობა – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად

დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე

შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

შემთხვევების შესწავლა (Case study) – აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების - სიტუაციების გადაჭრის გზით (ე. წ. "კეისების" ამოხსნა). სწავლების ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (კეისების) განხილვაზე. "კეისი" წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით, მეთოდი ეფექტიანად ანვითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს. სტუდენტებს უნვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედებების დაგეგმვისა და მათი შედეგების პროგნოზირების უნარი.

გონებრივი იერიში (Brain storming) – პრობლემის გადაჭრის ოპერატიული მეთოდი შემოქმედებითი აქტიურობის სტიმულირების საფუძველზე. მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებისა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი

ეტაპისგან:

პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;

დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული

იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);

შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;

შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;

გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;

უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

როლური და სიტუაციური თამაშები – მიეკუთვნება თამაშების ტიპის მეთოდებს, რომლებიც მოიცავენ საქმიან (როლურ) თამაშებს, დიდაქტიკურ ანუ სასწავლო თამაშებს, სათამაშო სიტუაციებს

(სიტუაციურ თამაშებს), სათამაშო ხერხებსა და პროცედურებს. წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის, დანახვის უნარის განვითარებას.

ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი: ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

ლაბორატორიული მეთოდი გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების ჩატარებას, ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენებას და სხვ.

პრაქტიკული მეთოდები აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი, შეძენილი ცოდნის საფუძველზე, დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიურ

პრაქტიკას, საველე მუშაობას და სხვ.

ახსნა-განმარტებითი მეთოდი ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება ECTS შესაბამისად, 100 ქულიანი სისტემით.
ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A)(ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B)ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C)კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D)დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E)საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმების და სკალების აღწერა მოცემულია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში)

დასაქმების სფერო

თანამედროვე ჟურნალისტიკის საშუალებები: პრესა, რადიო-ტელევიზია, ინტერნეტმედია; საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები, პრესცენტრები, საინფორმაციო სააგენტოები; სამთავრობო და არასამთავრობო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.
სარედაქციო საქმიანობა: შერჩევა, რედაქტირება სხვადასხვა სახის ტექსტების, აუდიოვიზუალური ჩანაწერების, აუდიტორიის ან პროფესიონალური სტრუქტურების მიერ წარმოებული ფოტოგრაფიული გამოსახულებების და შესაბამის ნორმებში, სტანდარტებში, ფორმატებში, სტილში

მოყვანა. საჯარო პრეზენტაციების ორგანიზება, პრესრელიზების, კონკრეტული პროექტებისა და მედიის პროდუქციის საჯარო განხილვა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 67

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
	სავალდებულო სასწავლო კურსები									
1	ფილოსოფიის საფუძვლები	არ აქვს	**3**							
2	ფსიქოლოგიის შესავალი	არ აქვს	**3**							
3	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები -1	არ აქვს	**4**							
4	საქართველოს ისტორია და კულტურა	არ აქვს	**5**							
5	წერითი და ზეპირი კომუნიკაცია	არ აქვს	**5**							
6	**უცხოური ენა - B 1.1 (არჩევით ერთ-ერთი ენა)**									
6.1	უცხოური ენა (ინგლისური) - B1.1	არ აქვს	**6**							
6.2	უცხოური ენა (გერმანული) - B1.1									
6.3	უცხოური ენა (ფრანგული) - B1.1									
7	კომუნიკაციის თეორიები და მოდელები	არ აქვს	**5**							
8	პოლიტოლოგია	არ აქვს		**5**						
9	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები -2	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები -1		**4**						
10	**უცხოური ენა - B 1.2 (არჩევით ერთ-ერთი ენა)**									
10.1	უცხოური ენა (ინგლისური) - B1.2	უცხოური ენა (ინგლისური) –		**6**						

		10.2B1.1								
10.2	უცხოური ენა (გერმანული) - B1.2	უცხოური ენა (გერმანული) - B1.1								
10.3	უცხოური ენა (ფრანგული) - B1.2	უცხოური ენა (ფრანგული)- B1.1								
11	ჟურნალისტიკის საფუძვლები	არ აქვს		**5**						
12	კულტურათაშორისი კომუნიკაცია	არ აქვს		4						
13	სპეცტერმინოლოგიის შესავალი	არ აქვს			**5**					
14	რუსული ენის პრაქტიკული სტილისტიკა	წერითი და ზეპირი კომუნიკაცია			**5**					
15	**უცხოური ენა - B 2.1 (არჩევით ერთ-ერთი ენა)**									
15.1	უცხოური ენა (ინგლისური) - B2.1	უცხოური ენა (ინგლისური) 1.2								
15.2	უცხოური ენა (გერმანული) - B2.1	უცხოური ენა (გერმანული) 1.2			**5**					
15.3	უცხოური ენა (ფრანგული) - B2.1	უცხოური ენა (ფრანგული) 1.2								
16	ბიზნესის საფუძვლები	არ აქვს			5					
17	მასკომუნიკაციის ტექნოლოგიები	ინფორმაციული ტექნოლოგიები -1			**4**					
18	**უცხოური ენა - B 2.2 (არჩევით ერთ-ერთი ენა)**									
18.1	უცხოური ენა (ინგლისური) - B2.2	უცხოური ენა (ინგლისური) - B2.1								
18.2	უცხოური ენა (გერმანული) - B2.2	უცხოური ენა (გერმანული) - B2.1				**5**				
18.3	უცხოური ენა (ფრანგული) - B2.2	უცხოური ენა								

		(ფრანგული) - B2.1								
19	მასმედიის ისტორია	არ აქვს				**4**				
20	თანამედროვე დასავლური ტექნოლოგიები მასკომუნიკაციაში	არ აქვს				**4**				
21	ჟურნალისტის პროფესიული ოსტატობა	ჟურნალისტიკის საფუძვლები				**5**				
22	ახალი მედია	ჟურნალისტიკის საფუძვლები				**4**				
23	PR-ის საფუძვლები	არ აქვს				**4**				
24	ჟურნალისტიკის სოციოლოგია	ჟურნალისტიკის საფუძვლები					**6**			
25	ბეჭდური მედიის ტექნოლოგიები	ინფორმაციული ტექნოლოგიები -2					**6**			
26	მედია და პოლიტტექნოლოგიები	ჟურნალისტიკის საფუძვლები					**6**			
27	ორატორულო ხელოვნება (საჯარო კამათის ტექნოლოგიები)	წერითი და ზეპირი კომუნიკაცია					**6**			
28	ბეჭდვითი პუბლიცისტიკის ენა და სტილი (პროფესიული ლექსიკა)	წერითი და ზეპირი კომუნიკაცია					**6**			
29	მედიადაგეგმარება (ჟურნალისა სა გაზეთის გამოცემის ტექნოლოგიები)	ჟურნალის-ტის პროფესიული ოსტატობა						**6**		
30	საგამოძიებო ჟურნალისტიკა	არ აქვს						**6**		
31	რეკლამა ჟურნალისტიკაში	არ აქვს						**6**		
32	ფოტო-ვიდეოტექნოლოგიები	არ აქვს						**4**		
33	მედიაპროდუქციის რედაქტირება	რუსული ენის პრაქტიკული სტილისტიკა						**4**		
34	ჟურნალისტიკის სამართლებრივი საფუძვლები	არ აქვს						**4**		
35	ტექსტური პროდუქციის შექმნის სტრატეგიები	ჟურნალისტიკის საუძვლები							**4**	
36	სამაუწყებლო მედია	ჟურნალისტიკის საუძვლები							**5**	
37	სასწავლო პრაქტიკა (რადიო)	ჟურნალისტიკის საუძვლები							**5**	
38	ეკოლოგიური ჟურნალისტიკა	ჟურნალისტიკის საუძვლები							**4**	
39	ინტერნეტ-ჟურნალისტიკა	ინფორმაციული ტექნოლოგიები							**4**	

		- 2								
40	ჟურნალისტის პროფესიული ეთიკა	არ აქვს							**4**	
41	თანამედროვეობის პრობლემატიკა მასკომუნიკაციაში	ჟურნალისტიკის საუძვლები							**4**	
42	კომპიუტერული ვიდეომონტაჟი	ინფორმაციული ტექნოლოგიები								**4**
43	სასწავლო პრაქტიკა (TV)	ჟურნალისტიკის საუძვლები								**5**
44	საბაკალავრო ნაშრომი	არ აქვს								**6**
45	**არჩევითი სასწავლო კურსები**									
45.1	ზოგადი სოციოლოგია									
45.2	ურთიერთობის დამყარება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან									
45.3	კრიტიკული აზროვნება									
45.4	ქართული ენა – 1									
46.1	ქართული ენა – 2	ქართული ენა - 1								
46.2	კულტუროლოგიის საფუძვლები									
46.3	ტოლერანტობის და კულტურათაშორისი ურთიერთქმედების საფუძვლები									
47.1	მედია მენეჯმენტი									
47.2	კულტურის ანალიზი და რეპრეზენტაცია მასკომუნიკაციებში									
48	**თავისუფალი კომპონენტები**									**15**
48.1	ძვირფასი ქვები, კეთილშობილი ლითონები და მათი რესურსები									
48.2	ტურიზმის შესავალი									
48.3	მოსაპირკეთებელი მასალები ინტერიერში									**5**
48.4	ტექსტილი ინტერიერში									
48.5	მარკეტინგის საფუძვლები									
48.6	შრომის უსაფრთხოება									
		სემესტრში	**31**	**29**	**29**	**31**	**30**	**30**	**30**	**30**
		წელიწადში	**60**		**60**		**60**		**60**	
		სულ	**240**							

სწავლის შედეგების რუკა

№	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	ფილოსოფიის საფუძვლები	×	×	×			×
2	ფსიქოლოგიის შესავალი	×	×	×		×	
3	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები -1	×	×		×		
4	საქართველოს ისტორია და კულტურა	×	×	×	×		×
5	წერითი და ზეპირი კომუნიკაცია	×	×	×	×		
6.1	უცხოური ენა (ინგლისური) - B1.1	×	×		×	×	
6.2	უცხოური ენა (გერმანული) - B1.1	×	×		×	×	
6.3	უცხოური ენა (ფრანგული) - B1.1	×	×		×	×	
7	კომუნიკაციის თეორიები და მოდელები	×	×	×	×		
8	პოლიტოლოგია	×	×	×	×		×
9	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები -2	×	×		×		
10.1	უცხოური ენა (ინგლისური) - B1.2	×	×		×	×	
10.2	უცხოური ენა (გერმანული) - B1.2	×	×		×	×	
10.3	უცხოური ენა (ფრანგული) - B1.2	×	×		×	×	
11	ჟურნალისტიკის საფუძვლები	×	×		×		×
12	კულტურათაშორისი კომუნიკაცია	×	×	×	×		×
13	სპეცტერმინოლოგიის შესავალი	×	×	×		×	
14	რუსული ენის პრაქტიკული სტილისტიკა	×	×	×	×	×	×
15.1	უცხოური ენა (ინგლისური) - B2.1	×	×		×	×	
15.2	უცხოური ენა (გერმანული) - B2.1	×	×		×	×	
15.3	უცხოური ენა (ფრანგული) - B2.1	×	×		×	×	
16	ბიზნესის საფუძვლები	×	×	×	×	×	
17	მასკომუნიკაციის ტექნოლოგიები	×	×		×	×	
18.1	უცხოური ენა (ინგლისური) - B2.2	×	×		×	×	
18.2	უცხოური ენა (გერმანული) - B2.2	×	×		×	×	
18.3	უცხოური ენა (ფრანგული) - B2.2	×	×		×	×	
19	მასმედიის ისტორია	×	×	×	×		×
20	თანამედროვე დასავლური ტექნოლოგიები მასკომუნიკაციაში	×	×	×		×	
21	ჟურნალისტის პროფესიული ოსტატობა	×	×	×		×	
22	ახალი მედია	×	×		×	×	
23	PR-ის საფუძვლები	×	×		×		×
24	ჟურნალისტიკის სოციოლოგია	×	×	×	×		×
25	ბეჭდური მედიის ტექნოლოგიები	×	×	×	×		
26	მედია და პოლიტტექნოლოგიები	×	×	×	×		×
27	ორატორულო ხელოვნება (საჯარო კამათის	×	×	×			

	ტექნოლოგიები)						
28	ბეჭდვითი პუბლიცისტიკის ენა და სტილი (პროფესიული ლექსიკა)	×	×	×		×	
29	მედიადაგეგმარება (ჟურნალისა სა გაზეთის გამოცემის ტექნოლოგიები)	×	×		×	×	
30	საგამოძიებო ჟურნალისტიკა	×	×	×	×	×	
31	რეკლამა ჟურნალისტიკაში	×	×	×		×	
32	ფოტო-ვიდეოტექნოლოგიები	×	×				×
33	მედიაპროდუქციის რედაქტირება	×	×	×			
34	ჟურნალისტიკის სამართლებრივი საფუძვლები	×	×	×	×	×	
35	ტექსტური პროდუქციის შექმნის სტრატეგიები	×	×	×	×		
36	სამუწყებლო მედია	×	×	×			×
37	სასწავლო პრაქტიკა (რადიო)	×	×	×	×		×
38	ეკოლოგიური ჟურნალისტიკა	×	×	×	×		×
39	ინტერნეტ-ჟურნალისტიკა	×	×	×	×	×	×
40	ჟურნალისტის პროფესიული ეთიკა	×	×		×		×
41	თანამედროვეობის პრობლემატიკა მასკომუნიკაციაში	×	×	×	×		
42	კომპიუტერული ვიდეომონტაჟი	×	×		×	×	
43	სასწავლო პრაქტიკა (TV)	×	×	×	×		×
44	საბაკალავრო ნაშრომი	×	×	×	×	×	
45.1	ზოგადი სოციოლოგია	×	×	×			
45.2	ურთიერთობის დამყარება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან	×	×	×		×	
45.3	კრიტიკული აზროვნება	×	×	×			×
45.4	ქართული ენა – 1	×	×		×	×	
46.1	ქართული ენა – 2	×	×		×	×	
46.2	კულტუროლოგიის საფუძვლები	×	×	×	×		×
46.3	ტოლერანტობის და კულტურათაშორისი ურთიერთქმედების საფუძვლები	×	×	×			
47.1	მედია მენეჯმენტი	×	×	×	×		
47.2	კულტურის ანალიზი და რეპრეზენტაცია მასკომუნიკაციებში	×	×	×	×		
48.1	ძვირფასი ქვები, კეთილშობილი ლითონები და მათი რესურსები	x	x	x	x	x	
48.2	ტურიზმის შესავალი	x	x	x		x	
48.3	მოსაპირკეთებელი მასალები ინტერიერში	x	x	x		x	
48.4	ტექსტილი ინტერიერში	x	x	x		x	
48.5	მარკეტინგის საფუძვლები	x	x	x	x	x	x
48.6	შრომის უსაფრთხოება	x	x				

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ECTS კრედიტი/საათი	საათი								
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	laboratory	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1	HEL31012R1-LS	ფილოსოფიის საფუძვლები	3/75	15	15					1	1	43
2	SOS31412R1-LS	ფსიქოლოგიის შესავალი	3/75	15	15					1	1	43
3	ICT13508R2-LB	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები -1	4/100	15			15			1	2	67
4	HEL20512R1-LS	საქართველოს ისტორია და კულტურა	5/125	15	30					1	1	78
5	LEH14212R1-LS	წერითი და ზეპირი კომუნიკაცია	5/125	15	30					1	1	78
6.1	LEH10812R2-P	უცხოური ენა (ინგლისური) - B1.1	6/150			60				1	1	88
6.2	LEH11212R2-P	უცხოური ენა (გერმანული) - B1.1	6/150			60				1	1	88
6.3	LEH11012R2-P	უცხოური ენა (ფრანგული) - B1.1	6/150			60				1	1	88
7	JOI13812R1-LS	კომუნიკაციის თეორიები და მოდელები	5/125	15	30					1	1	78
8	SOS20313R1-LS	პოლიტოლოგია	5/125	15	30					2	2	76
9	ICT13608R2-LB	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები -2	4/100	15			15			1	2	67
10.1	LEH10912R2-P	უცხოური ენა (ინგლისური) - B1.2	6/150			60				1	1	88
10.2	LEH11312R2-P	უცხოური ენა (გერმანული) - B1.2	6/150			60				1	1	88
10.3	LEH11112R2-P	უცხოური ენა (ფრანგული) - B1.2	6/150			60				1	1	88
11	JOI10112R1-LS	ჟურნალისტიკის საფუძვლები	5/125	15	30					1	1	78
12	JOI14712R1-LS	კულტურათაშორისი კომუნიკაცია	4/100	15	15					1	1	68
13	JOI14112R1-LS	სპეცტერმინოლოგიის შესავალი	5/125	15	30					1	1	78
14	LEH15712R1-LS	რუსული ენის პრაქტიკული სტილისტიკა	5/125	15	30					1	1	78
15.1	LEH13212R1-P	უცხოური ენა (ინგლისური) - B2.1	5/125			45				1	1	78

15.2	LEH14012R1-P	უცხოური ენა (გერმანული) - B2.1	5/125			45				1	1	78
15.3	LEH13612R1-P	უცხოური ენა (ფრანგული) - B2.1	5/125			45				1	1	78
16	BUA43613R1-LSP	ბიზნესის საფუძვლები	5/125	15	15	15				1	2	77
17	JOI14012R1-LS	მასკომუნიკაციის ტექნოლოგიები	4/100	15	15					1	1	68
18.1	LEH13312R1-P	უცხოური ენა (ინგლისური) - B2.2	5/125			45				1	1	78
18.2	LEH14112R1- P	უცხოური ენა (გერმანული) - B2.2	5/125			45				1	1	78
18.3	LEH13712R1-P	უცხოური ენა (ფრანგული) - B2.2	5/125			45				1	1	78
19	JOI14212R1-LS	მასმედიის ისტორია	4/100	15	15					1	1	68
20	JOI14312R1-LS	თანამედროვე დასავლური ტექნოლოგიები მასკომუნიკაციაში	4/100	15	15					1	1	68
21	JOI14412R1-LS	ჟურნალისტის პროფესიული ოსტატობა	5/125	15	30					1	1	78
22	JOI14512R1-LS	ახალი მედია	4/100	15	15					1	1	68
23	JOI14612R1-LS	PR-ის საფუძვლები	4/100	15	15					1	1	68
24	JOI15012R1-LS	ჟურნალისტიკის სოციოლოგია	6/150	30	30					1	1	88
25	JOI15112R1-LS	ბეჭდური მედიის ტექნოლოგიები	6/150	30	30					1	1	88
26	JOI15212R1-LS	მედია და პოლიტტექნოლოგიები	6/150	30	30					1	1	88
27	LEH16012R1-LS	ორატორულო ხელოვნება (საჯარო კამათის ტექნოლოგიები)	6/150	30	30					1	1	88
28	JOI15612R1-LS	ბეჭდვითი პუბლიცისტიკის ენა და სტილი (პროფესიული ლექსიკა)	6/150	30	30					1	2	87
29	JOI15312R1-LS	მედიადაგეგმარება (ჟურნალისა სა გაზეთის გამოცემის ტექნოლოგიები)	6/150	30	30					1	1	88
30	JOI15412R1-LS	საგამოძიებო ჟურნალისტიკა	6/150	30	30					1	1	88
31	JOI15512R1-LS	რეკლამა ჟურნალისტიკაში	6/150	30	30					1	1	88
32	JOI15712R1-LS	ფოტო-ვიდეოტექნოლოგიები	4/100	15	15					1	1	68
33	JOI15912R1-LS	მედიაპროდუქციის რედაქტირება	4/100	15	15					1	1	68
34	JOI15812R1-LS	ჟურნალისტიკის სამართლებრივი	4/100	15	15					1	1	68

		საფუძვლები										
35	JOI16312R1-LS	ტექსტური პროდუქციის შექმნის სტრატეგიები	4/100	15	15					1	1	68
36	JOI16612R1-LS	სამუწყებლო მედია	5/125	15	30					1	1	78
37	JOI16812R1-P	სასწავლო პრაქტიკა (რადიო)	5/125					45			2	78
38	JOI16012R1-LS	ეკოლოგიური ჟურნალისტიკა	4/100	15	15					1	1	68
39	JOI16112R1-LS	ინტერნეტ-ჟურნალისტიკა	4/100	15	15					1	1	68
40	JOI16212R1-LS	ჟურნალისტის პროფესიული ეთიკა	4/100	15	15					1	1	68
41	JOI16512R1-LS	თანამედროვეობის პრობლემატიკა მასკომუნიკაციაში	4/100	15	15					1	1	68
42	JOI16712R1-P	კომპიუტერული ვიდეომონტაჟი	4/100	15			15			1	1	68
43	JOI16912R1-P	სასწავლო პრაქტიკა (TV)	5/125					45			2	78
44	JOI17412R1-K	საბაკალავრო ნაშრომი	6/150						60	2	2	86
45.1	SOS40412R1-LS	ზოგადი სოციოლოგია	5/125	15	30					1	1	78
45.2	JOI13912R1-LS	ურთიერთობის დამყარება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან	5/125	15	30					1	1	78
45.3	SOS30712R1-LS	კრიტიკული აზროვნება	5/125	15	30					1	1	78
45.4	LEH15812R1-P	ქართული ენა – 1	5/125			45				1	1	78
46.1	LEH15912R1-P	ქართული ენა – 2	5/125			45				1	1	78
46.2	SOS41112R1-LS	კულტუროლოგიის საფუძვლები	5/125	15	30					2	1	77
46.3	JOI14912R1-LS	ტოლერანტობის და კულტურათაშორისი ურთიერთქმედების საფუძვლები	5/125	15	30					1	1	78
47.1	JOI14812R1-LS	მედია მენეჯმენტი	5/125	15	30					1	1	78
47.2	JOI10212R1-LS	კულტურის ანალიზი და რეპრეზენტაცია მასკომუნიკაციებში	5/125	15	30					1	1	78
48.1	PHS30203R1-LB	ძვირფასი ქვები, კეთილშობილი ლითონები და მათი რესურსები	5/125	15			30			1	1	78
48.2	PES10113R1-LS	ტურიზმის შესავალი	5/125	15	30					1	1	78
48.3	AAC70813R1-LS	მოსაპირკეთებელი მასალები ინტერიერში	5/125	15	30					1	1	78
48.4	AAC70913R1-LS	ტექსტილი ინტერიერში	5/125	5	40					1	1	78
48.5	BUA51913R1-LSP	მარკეტინგის საფუძვლები	5/125	15	15	15				1	1	78
48.6	HHS20203R1-LSB	შრომის უსაფრთხოება	5/125	15	15		15			1	1	78

პროგრამის ხელმძღვანელი თამარ ბონდარენკო

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ეკატერინე შაკიაშვილი

საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ივანე ჯაგოდნიშვილი

მიღებულია
ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
3 სექტემბერი 2012 წელი

შეთანხმებულია
სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ირმა ინაშვილი

მოდიფიცირებულია
საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომაზე
12 ივლისი, 2019 წელი,

ოქმი № 37

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე ივანე ჯაგოდნიშვილი